LI	5.55 (1H s).	-	0.89 (3H, m, $\underline{\text{CH}_3(\text{CH}_2)_3\text{N-}}$), 0.92 (3H, m, $\underline{\text{CH}_3(\text{CH}_2)_3\text{-CH-}}$), 1.29 (2H, m, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$).	1.26 (2H, m, $-\text{CHCH}_2-\underline{\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_3}$), 1.30-1.34 (2H, m, $-\text{N}(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_2-}$ CH_3 და 2H, m, $-\text{CH}-(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_2\text{CH}_3}$), 1.51 (2H, m, $-\text{NCH}_2\underline{\text{CH}_2\text{CH}_2-}$ CH_3), 1.63-1.79 (2H, m, $-\text{CHCH}_2(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_3}$), 3.24 (2H, t, $J = 7.2$, $-\text{NCH}_2-(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_3}$), 4.18 (2H, q, $J=7.2$, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 4.40 (1H, m, $-\text{N}(\text{CO})\underline{\text{CHCH}_2}$).	1.63-1.79 (5H, m), 1.84 (2H, m), 1.92 (1H, m), 1.99 - 2.09 (7H, m).	13.67 (1C, $\underline{\text{CH}_3(\text{CH}_2)_3\text{N-}}$), 13.97 (1C, $\underline{\text{CH}_3(\text{CH}_2)_3\text{CH-}}$), 14.16 (1C, $\underline{\text{CH}_3\text{CH}_2\text{O-}}$), 20.26 (1C, $\text{CH}_3\underline{\text{CH}_2(\text{CH}_2)_2\text{N-}}$), 22.20 (1C, $\text{CH}_3\underline{\text{CH}_2(\text{CH}_2)_2\text{CH-}}$), 28.12 (1C, $\text{CH}_3\text{CH}_2\underline{\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH-}}$), 28.47 (3C Ad), 28.63 (1C, $\text{CH}_3(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_2\text{CH-}}$), 31.10 (1C, $\text{CH}_3\text{CH}_2\underline{\text{CH}_2\text{CH}_2\text{N-}}$), 36.54 (3C Ad), 39.19 (3C Ad), 39.29 (1C Ad), 41.22 (1C, $-\text{NH}-\underline{\text{CH}_2\text{C=O}}$), 42.69 (1C, $\text{CH}_3(\text{CH}_2)_2\underline{\text{CH}_2\text{N-}}$), 61.17 (1C, $-\text{NCHC=O}$), 61.21 (1C, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 169.67 (C=O), 176.06 (C=O), 179.09 (C=O).
LII	7.67 (1H, s).	7.05-7.21 (1H, m), 7.32 - 7.36 (2H, m), 7.49-7.52 (1H, m), 7.59-7.61 (1H, m).	0.90 (6H, d, $J = 7.2$, $\underline{\text{CH}_3\text{CH-CH}_3}$ and $\text{CH}_3-\underline{\text{CHCH}_3}$).	2.44 (1H, m, $-\text{CHCH-}(\text{CH}_3)_2$), 5.23 (1H, d, $J = 4$, $-\text{NCHCH}(\text{CH}_3)_2$).	1.67-1.79 (10H, m), 1.86 -1.91 (9H, m), 2.02 (8H, m), 2.10 (3H, m).	18.90 (1C, $\underline{\text{CH}_3\text{CHCH}_3}$), 19.60 (1C, $\text{CH}_3\text{CH}-\underline{\text{CH}_3}$), 27.82 (3C Ad), 27.96 (3C Ad), 29.41 (1C, $\text{CH}_3\underline{\text{CHCH}_3}$), 36.34 (3C Ad), 36.42 (1C Ad), 36.52 (3C Ad), 38.81 (3C Ad), 38.98 (3C Ad), 59.98 (1C, $-\text{NCH}(\text{C=O})\text{CH}(\text{CH}_3)_2$), 60.16 (1C, Ad), 119.82 (1C Ar), 124.71 (1C Ar), 128.95 (1C Ar), 129.09 (2C Ar), 136.93 (1C Ar), 175.89 (C=O), 177.77 (C=O).

ცხრილი 6

1	2	3	4	5	6	7
LIII	9.74 (1H, s).	7.04 (1H, t, $J = 7.2$), 7.17-7.19 (2H, m, Ar), 7.21(1H, s, Ar), 7.22-7.24 (2H, m, Ar), 7.25(1H, s, Ar), 7.27 (1H, s, Ar), 7.32 (2H, dd, $J = 1.2$, $J = 8.6$).	0.92 (3H, d, $J = 2.4$, CH_3CHCH_3), 0.94 (3H, d, $J = 2.4$, CH_3CHCH_3).	2.77 (1H, sept., $(\text{CH}_3)_2\text{CH-CH-}$), 4.92 (1H, d, $J = 16.4$, $(\text{CH}_3)_2\text{CH-CH-}$), 5.29 (2H, s, $-\text{NCH}_2\text{C}_6\text{H}_5$).	2.11 – 2.08 (9H, m), 1.72 (6H, m).	19.48 (1C, CH_3CHCH_3), 20.19 (1C, $\text{CH}_3\text{-CHCH}_3$), 26.37 $(\text{CH}_3)_2\text{CH-CH-}$), 28.41 (3C Ad), 30.92 (1C Ad); 36.39 (3C Ad), 39.75 (3C Ad), 43.43 (1C, $\text{C}_6\text{H}_5\text{CH}_2\text{N-}$), 60.38 $(\text{CH}_3)_2\text{CH-CH-}$), 119.79 (2C Ar), 123.55 (2C Ar), 127.30 (2C Ar), 127.69 (1C Ar), 128.60 (2C Ar), 128.68 (2C Ar), 136.22 (1C Ar), 138.35 (1C Ar), 168.85 (C=O), 180.98 (C=O).
LIV	9.76 (1H, s),	7.29-7.37 (3H, m, Ar), 7.51 (2H, dd, $J=1.2$, $J=8.6$).	1.00 (3H, t, $J = 3.2$, $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH-}$), 1.24 (3H, t, $J = 7.2$, $\text{CH}_3\text{CH}_2\text{O}$).	2.02 (2H, m, $-\text{CHCH}_2\text{CH}_3$), 3.30 (2H, m, $\text{NH-CH}_2\text{C=O}$), 4.09 (2H, k, $J = 7.2$, $-\text{OCH}_2\text{CH}_3$), 5.23 (1H, m, $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH-N-}$)	1.71 (6H, m, Ad), 1.88 (6H, m, Ad), 2.02 (3H, m, Ad).	16.61 (1C, $-\text{CHCH}_2\text{CH}_3$), 20.30 (1C $\text{CH}_3\text{CH}_2\text{O-}$), 27.37 (1C, $\text{CH}_3\text{CH}_2\text{CH-}$), 28.28 (3C Ad), 30.93 (3C Ad), 36.22 (3C Ad), 40.39 (3C Ad), 52.37 (1C, $\text{NHCH}_2\text{(C=O)-}$), 60.17 (1C, $-\text{O-CHCH}_3$), 66.22 (1C, $\text{CH}_2\text{CHN-}$), 119.79 (1C Ar), 119.87 (2C Ar), 129.94 (2C Ar), 148.47 (1C Ar), 166.89 (C=O), 174.77 (C=O), 186.74 (C=O);

ცხრილი 6

1	2	3	4	5	6	7
LV	5.85 (1H, s, $\underline{\text{NHC}}\text{O}$)	7.33 (2H, dd, $J = 1.2$, $J=6$, Ar), 7.27 - 7.29 (3H, m, Ar).	0.89-1.05 (3H, m, $\underline{\text{CH}_3\text{CHCH}_3}$), 1.16-1.27 (3H, m, $\underline{\text{CH}_3\text{CHCH}_3}$)	2.44 (1H, m, $((\text{CH}_3)_2-\underline{\text{CHCH}}-)$), 4.12 (1H, d, $J = 7.2$, $((\text{CH}_3)_2-\text{CH}-\underline{\text{CH}}-)$), 4.43-4.45 (2H, m, $-\underline{\text{NCH}_2\text{C}_6\text{H}_5}$)	1.53-1.61 (3H, m, Ad), 1.68-1.77 (11H, m, Ad), 1.82-1.96 (10H, m, Ad), 1.99-2.09 (6H, m, Ad).	14.19 (2C-2CH ₃) 28.13 (6C Ad), 30.64 (1C, - $(\text{CH}_3)_2\underline{\text{CHCH}}-$), 36.51 (6C Ad), 39.31 (6C Ad), 40.66 (2C, Ad), 43.29 (1C, $-\underline{\text{NCH}_2\text{C}_6\text{H}_5}$), 64.14 (1C, $-\underline{\text{NCH}}(\text{C}=\text{O})-$), 127.40 (1C Ar), 127.66 (2C Ar), 128.70 (2C Ar), 138.85 (1C Ar), 177.77 (C=O), 180.09 (C=O).
LVI	6.90 (1H, s),	7.21 - 7.29 (1H, m), 7.30 - 7.33 (2H, m), 7.35 - 7.37 (2H, m).	1.27 (3H, t, $J = 7.2$, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$).	3.59 (2H, s, $-\text{NCH}_2\text{C}_6\text{H}_5$), 4.20 (2H, q, $J = 7.2$, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 4.43 (2H, s, $-\text{NHCH}_2\underline{\text{C}}=\text{O}$).	1.63 - 1.78 (12H, m), 1.85 - 1.92 (8H, m), 2.04 - 2.19 (10H, m),	14.11 (1C, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 26.92 (1C Ad), 27.22 (1C Ad), 28.09 (3C Ad), 32.47 (2C Ad), 32.82 (2C Ad), 34.45 (2C Ad), 36.48 (3C Ad), 37.89 (1C Ad), 39.28 (3C Ad), 41.07 (1C Ad), 43.29 (1C, $-\text{NHCH}_2\underline{\text{C}}=\text{O}$), 46.04 (1C, $\text{C}_6\text{H}_5\underline{\text{CH}_2\text{N}}-$), 61.31 (1C, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 64.87 (1C Ad), 127.60 (1C Ar), 128.25 (1C Ar), 128.32 (2C Ar), 128.65 (1C Ar), 138.65 (1C Ar), 170.21 (C=O), 175.68 (C=O), 177.76 (C=O).
LVII	7.68 (1H, s, $\underline{\text{NHC}}\text{O}$).	6.65 - 6.97 (2H, m), 7.12 - 7.23 (2H, m), 7.30 - 7.42 (1H, m).	1.28 (3H, t, $J = 7.2$, $-\text{OCH}_2-\underline{\text{CH}_3}$),	4.15 (2H, q, $J = 7.2$, $\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 4.30 (2H, s, $-\text{NHCH}_2\underline{\text{C}}=\text{O}$).	1.57 - 1.80 (14H, m, H Ad), 1.81 - 2.07 (12H, m, H Ad), 2.07 - 2.38 (2H, m, H Ad), 2.39 - 2.74 (2H, m, H Ad),	14.08 (1C, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 26.80 (2C Ad), 26.82 (2C Ad), 27.92 (2C Ad), 32.63 (2C Ad), 34.15 (2C Ad), 34.17 (2C Ad), 36.00 (1C Ad), 36.44 (2C Ad), 38.88 (2C Ad), 39.25 (1C Ad), 41.42 (1C Ad), 46.97 (1C, $-\text{NHCH}_2\underline{\text{C}}=\text{O}$), 61.41 (1C, $-\text{OCH}_2\underline{\text{CH}_3}$), 70.97 (1C, $-\text{N}-\underline{\text{C}}\text{Ad}$), 128.62 (1C Ar), 128.92 (2C Ar), 129.11 (2C Ar), 131.78 (1C Ar), 160.09 (C=O), 162.33 (C=O), 170.24 (C=O).

III. თავი

ექსპერიმენტული ნაწილი

რეაქციის მსვლელობას და ნაერთთა სისუფთავის კონტროლს და R_f -ის განსაზღვრას ახდენენ ფირფიტაზე Silufol UV-254 და TLC on Silicagel on TLC PET-foils plates ელუენტად გამოიყენებულია CCl_4 - Me_2CO , 2:1, ან 3:1, გამყვანებას ახდენენ იოდით. ულტრაიისფერი სპექტრი გადაღებული იქნა Agilent 8453 ხელსაწყოზე და სპექტრომეტრზე - Specord UV VIS მეთანოლში ან ეთანოლში. ინფრაწითელი სპექტრები გადაღებულია ხელსაწყოზე "THERMO NICOLET", AVATAR 370 ვაზელინის ზეთში და ჰექსაქლორბუტადიენში. 1H და ^{13}C ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტრები - სპექტრომეტრზე Bruker- AM-400 (400 და 100 MHz,) გამხსნელად გამოყენებული იქნა $DMSO-d_6$, ხოლო შიდა სტანდარტად შერჩეული იქნა TMS. ლობის ტემპერატურა განსაზღვრულია ხელსაწყოზე Boetius, ვიზუალური მოწყობილობით PHMKO5. სვეტური ქრომატოგრაფიისთვის მყარ ფაზად გამოყენებული იქნა სილიციუმის დიოქსიდი SiO_2 (Silicon dioxide, nanopowder, 10-20 nm particle size), ელუენტად გამოყენებული იქნა პეტროლეინი/ეთილაცეტატის სხვადასხვა თანაფარდობის ნარევი.

3.1. ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ბენზიმიდაზოლები

N-(2-ამინოფენილ)ადამანტან-1-კარბოქსამიდი (I)

მეთოდი ა: $AdCOCl$ -ის მომზადება. 18 გ (100 მმოლი) ადამანტილ-1-კარბონმჟავას მცირე ულუფებად უმატებენ 21 გ (100 მმოლი) PCl_5 -ს (45 წთ) და მშრალ (60 მლ) CCl_4 . ურევენ 1 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. რეაქცია მიმდინარეობს HCl -ის ინტენსიური გამოყოფით. რეაქციის დამთავრების მიზნით სარეაქციო ნარევს აცხელებენ 1 სთ ($40^\circ C$), სადაც ხდება PCl_5 -ის ბოლომდე დაშლა. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევი ჭარბი $POCl_3$ -ის მოცილების მიზნით 3-ჯერ ამატებენ 30-30 მლ CCl_4 და აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ბოლოს უმატებენ 50 მლ აბსოლუტურ ეთერს (ან ბენზოლს) და მიღებულ $AdCOCl$ -ის ხსნარს იყენებენ შემდეგი აცილირების რეაქციისთვის (ადამანტოილირებისთვის).

7.00 გ (64 მმოლი) ო-ფენილენდიამინს და 7.5 მლ (50 მმოლი) TEA გახსნილს (400 მლ) აბსოლუტურ დიეთილის ეთერში ყინულით გაცივების პირობებში წვეთ-წვეთობით (2 სთ) უმატებენ $AdCOCl$ -ის აბს. ეთერხსნარს (150 მლ), მომზადებულს 9.00 გ (50 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავასგან. სარეაქციო ნარევს აყოვნებენ მთელი ღამის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ ანზავებენ ცივი წყლით. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ ვაკუუმზე. იღებენ N-(2-ამინოფენილ)ადამანტან-1-კარბოქსამიდის (I) თეთრი ფერის კრისტალებს 12.33 გ. დიეთილის ეთერს გამოყოფენ ფილტრატიდან გამოყოფი

ძაბრით, რეცხავენ ნეიტრალურ რეაქციამდე წყლით, გამრობის მიზნით აყენებენ Na_2SO_4 -ზე ერთი ღამის განმავლობაში და აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე, შედეგად იღებენ 0.55 გ პროდუქტს. სულ ნაერთს I იღებენ 12.88 გ (95%). ლღტ. 227–229°C (CHCl_3) (ლღ.ტ. 229–231°C [29] (წყლიანი მეთანოლიდან)). $R_f = 0.61$. (აცეტონი- CCl_4 , 1:2) ნაპოვნია, m/z : 270.1731 [M]⁺. $\text{C}_{17}\text{H}_{22}\text{N}_2\text{O}$. გამოთვლილია, m/z : 270.1727.

მეთოდი ბ) ქლორანჰიდრიდის მომზადება. 6 მლ თიონილქლორიდს (60 მმოლი) უმატებენ 5.40 გ (30 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას. მიღებულ ნარევს აცხელებენ 3 სთ 50°C. ჭარბი თიონილქლორიდის მოცილების მიზნით სარეაქციო ნარევს უმატებენ აბსოლუტურ ბენზოლს (3×30 მლ) და აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ბოლოს უმატებენ აბსოლუტურ ბენზოლს (30 მლ) და იყენებენ შემდგომი აცილირების რეაქციისთვის.

სარეაქციო ნარევში, რომელშიც მოთავსებულია 5.00 გ (46 მმოლი) ო-ფენილენდიამინი, 50 მლ ბენზოლი და 50 მლ NaOH-ის 10% წყალხსნარი ყინულით გაცივების და მორევის პირობებში (1.5 სთ) საწვეთი ძაბრით წვეთ-წვეთობით უმატებენ, ახლად მომზადებულ 30 მლ (30 მმოლი) AdCOCl -ის ბენზოლხსნარს. მიღებულ სარეაქციო ნარევს ურევენ 4 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე და აყოვნებენ მთელი ღამის განმავლობაში. სარეაქციო ნარევს ანზავებენ (250 მლ) ცივი წყლით. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ ვაკუუმზე. იღებენ თეთრი ფერის კრისტალებს 6.23 გ (85%) ლღ. ტ. 228–230 ° C (მეთანოლი). ბენზოლის ფენა შეიცავდა მარტო ო-ფენილენდიამინს და კვალის სახით პროდუქტს I.

მეთოდი გ) სარეაქციო ნარევს, რომელიც შეიცავს 12.20 გ (113 მმოლი) ო-ფენილენდიამინს გახსნილს 250 მლ აბსოლუტურ ბენზოლში უმატებენ 11.13 გ (15 მლ, 110 მმოლი) ტრიეთილამინს და მუდმივი მორევის პირობებში წვეთობით უმატებენ 50 მლ (100 მმოლი) წინასწარ მომზადებულ AdCOCl -ის ბენზოლხსნარს, მომზადებულს 18 გ (100 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავასაგან. სარეაქციო ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე 4 სთ და აყოვნებენ ღამით. სარეაქციო ნარევს შლიან ყინულიანი წყლით, გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ ვაკუუმში, იღებენ 35 გ ნივთიერებას. ბენზოლის ფენას გამოყოფენ წყლიანი ფენისგან, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ Na_2SO_4 -ზე და აკონცენტრირებენ მშრალი მასის მიღებამდე. იღებენ 0.84 გ ნალექს. სულ იღებენ 35.84 გ ტექნიკური პროდუქტს, რომელიც შეიცავს I და II ნაერთის ნარევს და ო-ფენილენდიამინს. ტექნიკურ პროდუქტს ხსნიან 350 მლ ცხელ წყლიან მეთანოლში (1:1), ცხლად ფილტრავენ (ქაღალდის ფილტრზე) და ფილტრატის გაცივების შემდეგ გამოყოფენ 14.19 გ (53%) *N*-(2-ამინოფენილ)ადამანტან-1-კარბოქსამიდს (I). ლღ. ტ. 228–230 ° C (მეთანოლი). ქაღალდის ფილტრზე რჩება თანამდე პროდუქტი 1,2-დი(ადამანტოილამინო)-ბენზოლი (II), რომელიც გადააქვთ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლიანი მეთანოლით, აშრობენ ვაკუუმზე და იღებენ ნაერთი II -ის თეთრი ფერის კრისტალებს 6.64 გ (15%) გამოსავლიანობით. ლღ. ტ. 277–279°C (მეთანოლი). $R_f=0,88$.

(აცეტონი-CCl₄, 1:2) ნაპოვნია, *m/z*: 432.2753 [M]⁺. C₂₈H₃₆N₂O₂. გამოთვლილია, *m/z*: 432.2771.

2-(1-ადამანტილ)-1 *H*-ბენზიმიდაზოლი (III)

მეთოდი ა) 5.00 გ (18.5 მმოლი) *N*-(2-ამინოფენილ)ადამანტან-1-კარბოქსამიდს ხსნიან 100 მლ წყლიან იზოპროპილში (1:1) და უმატებენ 5 მლ (54 მმოლი) 35% მარილმჟავას. სარეაქციო ნარევის ინტენსიურად ურევინ და ადუღებენ 48 სთ. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევის შლიან ყინულიან წყალში და ამუშავებენ 5% NaOH-ის წყალხსნარით pH 8-მდე, აყოვნებენ და წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბარზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე და ამრობენ ვაკუუმზე. ლეზულობენ 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლის (III) თეთრი ფერის კრისტალებს 4.42 გ (95%), ლღ.ტ. > 350°C (CHCl₃) (ლღ.ტ. 420°C (2-PrOH) [36]). *R_f*=0.46 (აცეტონი-CCl₄, 1:2). ნაპოვნია, *m/z*: 252.1644 [M]⁺. C₁₇H₂₀N. გამოთვლილია, *m/z*:252.1621.

მეთოდი ბ) 0.9 გ (6.2 მმოლი) *o*-ფენილენდიამინს და 0.9 გ (5 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას ნარევის 8 მლ POCl₃ -ის არეში აცხელებენ 107°C 1 სთ-ის განმავლობაში. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევის ამუშავებენ მეთოდი I -ის ანალოგიურად. მიღებული პროდუქტის გამოსავლიანობა შეადგენს 1.17 გ (93%), ლღ.ტ. > 350°C (CHCl₃).

2-(1-ადამანტილ)-5(6)-ნიტრო-1*H*-ბენზიმიდაზოლი (IV)

მეთოდი ა) 1.35 გ (5.3 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლს (III) ხსნიან ყინულით გაცივების პირობებში 8 მლ კონც. H₂SO₄-ში და წვეთობით უმატებენ მანიტრირებელ ნარევის დამზადებულს 0.35 გ (0.45 მლ, 5.5 მმოლი) კონც. HNO₃ (*d* 1.35) და 0.98 გ (0.57 მლ, 10 მმოლი) კონც. H₂SO₄ (*d* 1.83). სარეაქციო ნარევის ტოვებენ ღამე ოთახის ტემპერატურაზე. შლიან ყინულიან წყალში, ამუშავებენ 10 % ნატრიუმის ტუტის წყალხსნარით (150 მლ) pH 9-მდე. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, ამრობენ ვაკუუმზე და ლეზულობენ ყვითელი ფერის კრისტალებს 1.47 გ (92 %). ლღ. ტ. 233–235°C (აცეტონი). *R_f* = 0.66 (აცეტონი-CCl₄, 1:2). ნაპოვნია, *m/z*: 297.1489 [M]⁺. C₁₇H₁₉N₃O₂. გამოთვლილია, *m/z*: 297.1472.

მეთოდი ბ) 0.76 გ (5 მმოლი) 3-ნიტრო-*o*-ფენილენდიამინს და 0.9 გ (5 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას ნარევის 9 მლ POCl₃-ის არეში აცხელებენ 107°C 2 სთ. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევის ამუშავებენ მეთოდი I -ის ანალოგიურად. მიღებული პროდუქტის გამოსავლიანობა შეადგენს 1.35 გ (91%), (CHCl₃).

2-(1-ადამანტილ)-5(6),7(4)-დინიტრო-1*H*-ბენზიმიდაზოლი (V)

1.26 გ (5 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლს (III) ხსნიან ყინულით გაცივების პირობებში 10 მლ კონც. H₂SO₄-ში. მორევის პირობებში წვეთობით უმატებენ

10 მლ მანიტრირებელ ნარევეს დამზადებულს 3.075 გ (48.8 მმოლი) კონც. HNO_3 (d 1.35) და 10.28 გ (104 მმოლი) კონც. H_2SO_4 (d 1.83) და ურევინ 8 საათი ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევეს ტოვებენ ღამე, შლიან ყინულიან წყალში. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ NaHCO_3 წყალხსნარით და წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. ამრობენ ვაკუუმზე და ღებულობენ ყვითელი ფერის კრისტალებს 1.00 გ. მჟავე ფილტრატს ამუშავებენ ამიაკის წყალხსნარით სუსტ ტუტე რეაქციამდე, ღებულობენ დამატებით 0.50 გ. 1.5 გ ნედლ პროდუქტს V აკრისტალებენ აცეტონ-წყალში (1:1) გამოყოფილ კრისტალებს ფილტრავენ შოტის ძაბრზე და ამრობენ ვაკუუმზე. ღებულობენ 1.2 გ (81%) ყვითელი ფერის კრისტალებს. ლღ.ტ. 244–246°C (აცეტონი). $R_f = 0.17$ (აცეტონი– CCl_4 , 1:2). ნაპოვნია, m/z : 342.1370 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{17}\text{H}_{18}\text{N}_4\text{O}_4$. გამოთვლილია, m/z : 342.1323.

2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინი (VI)

მეთოდი I. 2.69 გ (9 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-5(6)-ნიტრო-1H-ბენზიმიდაზოლს (IV) ხსნიან 50 მლ მეთანოლში და რენეს ნიკელის (0.25 გ) კატალიზატორის თანაობისას მორევიტა და 40–50°C ცხელებით წვეთობით (20 წთ) უმატებენ 10 მლ (30 მმოლი) ჰიდრაზინ-ჰიდრატს (30%). ჰიდრაზინ-ჰიდრატის დამატების შემდეგ სარეაქციო ნარევეს ურევინ 3 სთ 40–50°C-ზე და 1 სთ დუღილის პირობებში. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევეს ფილტრავენ ფილტრის ქაღალდზე ნიკელის კატალიზატორის მოცილების მიზნით. ფილტრატს აკონცენტრირებენ 1/3 მოცულობამდე და ასხამენ ყინულებზე, ამუშავებენ ამიაკით pH 8-მდე. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, ამრობენ, ღებულობენ 1.66 გ (70%) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) მოკრემისფრო კრისტალებს, ლღ.ტ. >310°C.

მეთოდი II. 5.35 გ (18 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-5(6)-ნიტრო-1H-ბენზიმიდაზოლს (IV) ხსნიან 70 მლ აბსოლუტურ ეთანოლში და აჰიდრირებენ მოლეკულური წყალბადით რენეს ნიკელის კატალიზატორის თანაობისას, ატმოსფერულ წნევაზე, ოთახის ტემპერატურაზე 24 სთ. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევეს ფილტრავენ ფილტრის ქაღალდზე კატალიზატორის მოცილების მიზნით, უმატებენ ჰიდროქლორიდით გაჯერებულ ეთანოლს (20-30 მლ) pH 1-მდე და აყოვნებენ 24 საათი. გამხსნელს აკონცენტრირებენ და ამუშავებენ აბსოლუტური დიეთილის ეთერით. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ აბსოლუტური დიეთილის ეთერით. ამრობენ ვაკუუმზე და ღებულობენ 4.80 გ (89%) მარილს, ინახავენ მარილის სახით. მარილის დამუშავებით 5% ნატრიუმის ტუტის წყალხსნარით (35-40 მლ) pH 8–9-მდე იღებენ 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) 2.79 გ (60%) მოკრემისფრო კრისტალებს. ლღ. ტ. > 310°C. $R_f = 0.31$ (აცეტონი– CCl_4 , 1:2). ნაპოვნია, m/z : 267.1729 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{17}\text{H}_{21}\text{N}_3$. გამოთვლილია, m/z : 267.1730.

2-(1-ადამანტილ)-N-მეთილ-ბენზიმიდაზოლი (VII).

მეთოდი ა) 0.4 გ (1.6 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლის (III), 0.1 გ (2.5 მმოლი) NaOH, 1.28 მლ წყალის და 5 მლ აცეტონის ნარევის მუდმივი მორევის პირობებში, ოთახის ტემპერატურაზე უმატებენ 1 მლ (10 მმოლი) დიმეთილსულფატს. სარეაქციო ნარევის აცხელებენ 40–50°C-ზე 6 სთ. რეაქციის დასრულების შემდეგ შლიან წყლით. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ ვაკუუმზე და იღებენ ნაერთის VII თეთრი ფერის კრისტალებს 0.39 გ (92%). $R_f=0.66$ (აცეტონი-CCl₄, 1:3). ლღ.ტ. 172–174 °C (ლიტ. 175–176 °C [33]).

მეთოდი ბ) 0.98 გ (3.88 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლის (III) სუსპენზიას 20 მლ დიმეთილფორმამიდში ოთახის ტემპერატურაზე უმატებენ 0.5 გ, (20 მმოლი) ნატრიუმის ჰიდრიდს და 2 მლ (20 მმოლი) დიმეთილსულფატს. სარეაქციო ნარევის ურევენ 50–60°C 1 სთ. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევის შლიან ყინულიან წყალზე (100 მლ), (pH 9–10). ხსნარს ანზავებენ წყლით 300 მლ-მდე. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ ვაკუუმზე და იღებენ ნაერთს VII 0.85 გ (82.5%) თეთრი ფერის კრისტალებს. ლღ.ტ. 174–176.

2-(1-ადამანტილ)-N-ბენზილ-ბენზიმიდაზოლი (VIII)

0.76 გ (3 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლის (III), 0.48 გ (12 მმოლი) NaOH და 10 მლ დიმეთილფორმამიდის სუსპენზიას უმატებენ წვეთობით ბენზილ-კლორიდს 0.35 მლ (3 მმოლი) ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევის აცხელებენ მუდმივი მორევის პირობებში 110–115°C-ზე 8 სთ. სარეაქციო ნარევის შლიან ყინულიან წყალზე, წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ ვაკუუმზე და ღებულობენ 0.77 გ (77%) ნაერთი VIII თეთრ კრისტალებს. ლღ.ტ. 174–176°C (ეთანოლი). $R_f=0.69$ (აცეტონი-CCl₄, 1:3).

2-(1-ადამანტილ)-N-პროპილ-ბენზიმიდაზოლი (IX)

0.5 გ (1.98 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლის (III) სუსპენზიას 20 მლ დიმეთილფორმამიდში ოთახის ტემპერატურაზე უმატებენ 0.55 გ (13.86 მმოლი) ნატრიუმის ჰიდრიდს და 2 მლ (21 მმოლი) პროპილბრომიდს. სარეაქციო ნარევის ურევენ 50–60°C 3 სთ. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევის შლიან ყინულიან წყალზე (100 მლ), (pH 9–10). ხსნარს ანზავებენ წყლით 200 მლ-მდე. წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ ვაკუუმზე და იღებენ ნაერთი IX თეთრი ფერის კრისტალებს 0.4 გ (70 %). ლღ.ტ. 280–281°C. $R_f=0.65$ (აცეტონი-CCl₄, 1:3)

**2-({[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-იმინო}მეთილ)-
ფენოლი (X)**

20 მლ აბს. ეთანოლში გახსნილ 0.87 გ (3.3 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.403 გ (0.5 მლ, 3.3 მმოლი) სალიცილის ალდეჰიდის ნარევის მუდმივი მორევის პირობებში ადუღებენ 2 სთ. სარეაქციო ნარევის აცივებენ, გამოყოფილ კრისტალებს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ მცირე რაოდენობა ეთანოლით. იღებენ ნაერთი X ყვითელი ფერის კრისტალებს 0.95 გ (81%). ლღ. ტ. 204–206°C (EtOH). $R_f = 0.67$ (აცეტონი-CCl₄, 1:2). ნაპოვნია, m/z : 371.2003 [M]⁺. C₂₄H₂₅N₃O. გამოთვლილია, m/z : 371.1992.

**2-({[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-იმინო}მეთილ)-4-
ბრომფენოლი (XI)**

ნაერთს XI იღებენ ნაერთი X-ის ანალოგიურად. 0.67 გ (2.5 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.5 გ (2.5 მმოლი) 5-ბრომ-სალიცილის ალდეჰიდის ურთიერთქმედებით. იღებენ ნაერთი XI ნარინჯისფერ კრისტალებს 0.95 გ (81%) ლღ.ტ. 268-270°C (EtOH). $R_f = 0.34$ (აცეტონი-CCl₄, 1:2). ნაპოვნია, m/z : 449.1096 [M]⁺. C₂₄H₂₄BrN₃O. გამოთვლილია, m/z : 449.1103.

**2-({[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-იმინო}მეთილ)-4-
ნიტროფენოლი (XII)**

ნაერთს XII იღებენ ნაერთი X-ის ანალოგიურად. 0.5 გ (1.87 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.312 გ (1.87 მმოლი) 5-ნიტროსალიცილის ალდეჰიდის ურთიერთქმედებით. იღებენ ნაერთი XII ყვითელი ფერის კრისტალებს 0.75 გ (96%). ლღ.ტ. 180–182°C (EtOH). $R_f = 0.66$. ნაპოვნია, m/z : 416.1812 [M]⁺. C₂₄H₂₄N₄O₃. გამოთვლილია, m/z : 416.1843.

**2-({[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-იმინო}მეთილ)-4,6-
დიბრომფენოლი (XIII)**

ნაერთს XIII იღებენ ნაერთი X-ის ანალოგიურად. 0.5 გ (1.87 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.523 გ (1.87 მმოლი) 3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდის ურთიერთქმედებით 3 სთ. იღებენ ნაერთი XIII-ის ნარინჯისფერ კრისტალებს 0.9 გ (91%). ლღ. ტ. 310–312°C (EtOH). $R_f = 0.63$ (აცეტონი-CCl₄, 1:2). ნაპოვნია, m/z : 527.0435 [M]⁺. C₂₄H₂₃Br₂N₃O. გამოთვლილია, m/z : 527.0202.

**2-({[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-იმინო}მეთილ)-3-
ნიტრობენზოლი (XIV)**

ნაერთს XIV იღებენ ნაერთი X-ის ანალოგიურად. 0.80 გ (3.0 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.5 გ (3.0 მმოლი) 3-ნიტრო-

ბენზალდეჰიდთან ურთიერთქმედებით. გამოყოფენ ნაერთი XIV-ის ყვითელი ფერის კრისტალებს 0.56 გ (45%). ლღ. ტ. 292–294°C (EtOH). $R_f=0.70$ (აცეტონი–CCl₄, 1:2).

***N*-[2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-
ადამანტან-1-კარბოქსამიდი (XV)**

0.47 გ (1.8 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინს (VI) გახსნილს 60 მლ აბსოლუტურ ეთერში უმატებენ 0.25 მლ TEA (0.18 გ, 1.8 მმოლი) და ოთახის ტემპერატურაზე წვეთობით უმატებენ AdCOCl-ის ხსნარს დიეთილის ეთერში, მომზადებულს 0.32 გ (1.8 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავასგან. სარეაქციო ნარევის ურევვენ 4 სთ, აყოვნებენ ღამე, ანზავებენ ცივი წყლით. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ ნეიტრალურ რეაქციამდე წყლით და აშრობენ ვაკუუმზე. იღებენ ნაერთი XV-ის თეთრი ფერის კრისტალებს 0.56 გ (74%). ლღ. ტ. > 310°C (CHCl₃). $R_f=0.58$ (აცეტონი–CCl₄, 1:3). ნაპოვნია, m/z : 429.2780 [M]⁺. C₂₈H₃₅N₃O. გამოთვლილია, m/z : 429.2775.

***N*-[2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-ბენზამიდი (XVI)**

ნაერთი XVI მიღებული იქნა ნაერთი XV-ის ანალოგიურად. 0.5 გ (1.87 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) და 0.69 მლ (6.8 მმოლი) TEA ნარევის 30 მლ აბსოლუტურ ეთერში წვეთობით უმატებენ 0.8 მლ (0.96 გ, 6.8 მმოლი) ბენზოის მჟავას ქლორანჰიდრიდს 10 მლ აბსოლუტურ ეთერში. იღებენ ნაერთი XVI-ის თეთრი ფერის კრისტალებს 0.51 გ (74%). ლღ. ტ. 188–190°C (CHCl₃). $R_f=0.61$ (აცეტონი–CCl₄, 1:2). ნაპოვნია, m/z : 371.2002 [M]⁺. C₂₄H₂₅N₃O. გამოთვლილია, m/z : 371.1992.

***N*-[2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-*N*-ბენზოილ-მეტა-
ამინობენზამიდი (XVII)**

3-ბენზამიდობენზოისმჟავას ქლორანჰიდრიდის მომზადება. 0.66 გ (2.7 მმოლი) 3-ბენზამიდობენზოის მჟავას უმატებენ 0.62 გ (3 მმოლი) PCl₅-ს და ურევვენ 1 სთ 30 მლ მშრალ CCl₄-ში ოთახის ტემპერატურაზე. რეაქცია მიმდინარეობს HCl-ის ინტენსიური გამოყოფით. რეაქციის დამთავრების მიზნით სარეაქციო ნარევის აცხელებენ დამატებით 1 სთ (40°C). რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევი ჭარბი POCl₃-ის მოცილების მიზნით 3-ჯერ უმატებენ 20-20 მლ CCl₄ და აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ბოლოს უმატებენ 50 მლ აბსოლუტურ ბენზოლს და მიღებულ 3-ბენზამიდობენზოისმჟავას ქლორანჰიდრიდის ხსნარს იყენებენ შემდგომი აცილირების რეაქციისთვის.

0.72 გ (2.7 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1*H*-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) სუსპენზიას (60 მლ) აბს. ტოლუოლში უმატებენ 0.36 მლ (0.27 გ, 2.7 მმოლი) ტრიეთილამინს და მუდმივი მორევის პირობებში, ოთახის ტემპერატურაზე, წვეთობით უმატებენ წინასწარ მომზადებულ 50 მლ 3-ბენზამიდობენზოის მჟავას ქლორანჰიდრიდის (2.7 მმოლი) ბენზოლხსნარს. მთლიანი დამატების შემდეგ სარეაქციო ნარევის

ურევენ 50°C-ზე. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევს შლიან ცივ წყალში. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე. რეცხავენ ცივი წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. იღებენ 0.5 გ კრემისფერ კრისტალებს. ფილტრატს გამოყოფი ძაბრით აცილებენ ორგანულ ფაზას. რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ გლაუბერის მარილზე და აორთქლებენ. დამატებით იღებენ 0.57 გ. სულ იღებენ 1.07 გ (82%). ნაერთი XVII-ის ლღ. ტ. 178–180° C (CHCl₃). R_f = 0.57 (აცეტონი–CCl₄, 1:2).

N-[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-აცეტამიდი (XVIII)

0.5 გ (1.87 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინს (VI) უმატებენ 5 მლ ძმარმჟავა ანჰიდრიდს და აყოვნებენ 1 დღე ოთახის ტემპერატურაზე. გამოლექილ კრისტალებს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ ჰექსანით, აშრობენ და იღებენ ნაერთი XVIII-ის მოთეთრო ფერის კრისტალებს 0.45 გ (77%). ლღ. ტ. 200-202° C (EtOH). R_f = 0.64 (აცეტონი–CCl₄, 1:2).

N-[2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ილ]-2-ჰიდროქსიფენილამიდი

(XIX)

2-ჰიდროქსიფენილკარბონმჟავას ქლორანჰიდრიდის მომზადება. 1 მლ თიონილქლორიდს (12 მმოლი) უმატებენ 0.4 გ (2.9 მმოლი) სალიცილის მჟავას. მიღებულ ნარევს აცხელებენ 1 საათი 50°C. ჭარბი თიონილქლორიდის მოცილების მიზნით სარეაქციო ნარევს უმატებენ აბსოლუტურ ეთერს (3×30 მლ) და აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ბოლოს უმატებენ აბს. ეთერს (30 მლ) და იყენებენ შემდგომი აცილირების რეაქციისთვის.

0.6 გ (2.24 მმოლი) 2-(1-ადამანტილ)-1H-ბენზიმიდაზოლ-5(6)-ამინის (VI) სუსპენზიას (40 მლ) აბს. ეთერში უმატებენ 0.39 მლ (2.9 მმოლი) ტრიეთილამინს და მუდმივი მორევის პირობებში, ოთახის ტემპერატურაზე წვეთობით უმატებენ წინასწარ მომზადებულ 50 მლ აბს. ეთერში გახსნილ 2-ჰიდროქსიფენილკარბონმჟავას ქლორანჰიდრიდს. მთლიანი დამატების შემდეგ სარეაქციო ნარევს ურევენ 35°C-ზე 15 სთ. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევს შლიან ცივ წყალში. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე. რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. იღებენ 0.51 გ თეთრი ფერის კრისტალებს. ორგანულ ფაზას გამოყოფენ ფილტრატიდან. რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ გლაუბერის მარილზე და აორთქლებენ. დამატებით იღებენ 0.01 გ. სულ იღებენ 0.52 გ (62%) პროდუქტს XIX. ლღ. ტ. 292-294°C (CHCl₃). R_f = 0.75 (აცეტონი–CCl₄, 1:2).

N-(4-მეთოქსი-2-ნიტროფენილ)-N'-(1-ადამანტილ)კარბოქსამიდი (XX)

5.7 გ (20 მმოლი) N-(4-მეთოქსიფენილ)-N'-(1-ადამანტილ)კარბოქსამიდის სუსპენზიას 20 მლ ძმარმჟავაში უმატებენ 5 მლ ძმარმჟავას ანჰიდრიდს. მორევის და ყინულით გაცივების პირობებში წვეთობით უმატებენ 5 მლ (60 მმოლი) 57% HNO₃. სარეაქციო ნარევს ურევენ ოთახის ტემპერატურაზე 50 წთ-ის განმავლობაში. შლიან

ყინულიან წყალში, ფილტრავენ და რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. ღებულობენ N-(4-მეთოქსი-2-ნიტროფენილ)-N'-(1-ადამანტილ)კარბოქსამიდის (XX) ყვითელი ფერის კრისტალებს 6.53 გ (99%). ლღ.ტ. 133-134°C (CHCl₃). (ლიტ.134-135°C [135]). R_f = 0.84 (აცეტონი/CCl₄ 1/2).

N-(4-მეთოქსი-2-ამინოფენილ)-N'-(1-ადამანტილ)კარბოქსამიდი (XXI)

2.54 გ (7.69 მმოლი) N-(4-მეთოქსი-2-ნიტროფენილ)-N'-(1-ადამანტილ)-კარბოქსამიდს (XX) გახსნილს 30 მლ ეთილაცეტატში რენეს ნიკელის კატალიზატორის თანაობისას აჰიდრირებენ მოლეკულური წყალბადით ოთახის ტემპერატურაზე, მორევის პირობებში. რეაქციის დასრულების შემდეგ წარმოქმნილი პროდუქტის ნალექს კატალიზატორის მოცილების მიზნით ხსნიან აცეტონში, ფილტრავენ ფილტრის ქაღალდზე და ფილტრატს აკონცენტრირებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ღებულობენ N-(4-მეთოქსი-2-ამინოფენილ)-N'-(1-ადამანტილ)კარბოქსამიდის (XXI) მოვარდისფრო კრისტალებს 2.07 გ (90%). R_f = 0.59 (აცეტონი/CCl₄, 1/2). ლღ.ტ. 210-211°C (ეთანოლი) [136].

N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინი (XXII)

2.0 გ (7.4 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-ო-ფენილენდიამინს (I) ხსნიან 20 მლ აბსოლუტურ ეთანოლში და უმატებენ 1 მლ (9.3 მმოლი) სალიცილის ალდეჰიდს. სარეაქციო ნარევეს ურევენ და აცხელებენ ეთანოლის დუდილის ტემპერატურაზე, 5 საათის განმავლობაში. სარეაქციო ნარევეს აცივებენ, გამოყოფილ კრისტალებს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ მცირე რაოდენობა ჰექსანით და აშრობენ ვაკუუმზე. იღებენ N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (XXII) ყვითელი ფერის კრისტალებს 2.77 გ (68%). R_f = 0.61 (აცეტონი/CCl₄, 1/2). ლღ.ტ. 154-156°C (ეთანოლი).

N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინი (XXIII)

ნაერთის XXIII სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის XXII სინთეზის ანალოგიურად. 1.0 გ (3.7 მმოლი) ნაერთი I ურთიერთქმედებით 0.74 გ (3.7 მმოლი) 5-ბრომსალიცილის ალდეჰიდთან 10 მლ აბს. სპირტის არეში დუღებით. იღებენ N-(1-ადამანტილ)-კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (XXIII) ლიმონისფერ კრისტალებს 1.49 გ (89%). R_f = 0.66 (აცეტონი/CCl₄, 1/2). ლღ. ტ. 182-183°C (ეთანოლი).

**N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსი-3,5-დიბრომბენზილიდენ)-ო-
ფენილენდიამინი(XXIV)**

ნაერთის **XXIV** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 0.83 გ (3,1 მმოლი) ნაერთი **I** ურთიერთქმედებით 0.86 გ (3,1 მმოლი) დიბრომსალიცილის ალდეჰიდთან 10 მლ აბს. სპირტის არეში, 1.5 სთ დუღებით. იღებენ N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-3,5-დიბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXIV**) ნარინჯისფერ კრისტალებს 1.25 გ (77%). $R_f = 0.63$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლლ. ტ. 178-180°C (ეთანოლი).

**N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(3-ნიტრობენზილიდენ)-ო-
ფენილენდიამინი (XXV)**

ნაერთის **XXV** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 1.12 გ (4.1 მმოლი) ნაერთი **I** ურთიერთქმედებით 0.63 გ (4.1 მმოლი) 3-ნიტრობენზალდეჰიდთან 20 მლ აბს. ეთანოლში 5 სთ დუღებით. იღებენ N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(3-ნიტრობენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXV**) ნარინჯისფერ კრისტალებს 1.33 გ (79%). $R_f = 0.9$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლლ.ტ. 170-172°C (ბენზოლი).

**N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(პარა-N-დიმეთილბენზილიდენ)-ო-
ფენილენდიამინი (XXVI)**

ნაერთის **XXVI** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 1.0 გ (3.7 მმოლი) ნაერთი **I** ურთიერთქმედებით 0.61 გ (3.7 მმოლი) პარა-N-დიმეთილბენზალდეჰიდთან 10 მლ აბს. ეთანოლში 8 სთ დუღებით. გამოყოფენ N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(პარა-N-დიმეთილბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXVI**) ლიმონისფერ კრისტალებს 1.01 გ (71%). $R_f = 0.8$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2), ლლ.ტ. 136-138°C. (ქლოროფორმი).

**4-მეთოქსი- N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-
ო-ფენილენდიამინი (XXVII)**

ნაერთის **XXVII** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 0.7 გ (2.43 მმოლი) ნაერთი **XXI** ურთიერთქმედებით 0.29 გ (2.43 მმოლი) სალიცილის ალდეჰიდთან 10 მლ აბს. სპირტის არეში 3 სთ დუღებით. იღებენ 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXVII**) ლიმონისფერ კრისტალებს 0.68 გ (70%). $R_f = 0.49$ (აცეტონი / CCl_4 , 1/2). ლლ.ტ. 163-164°C (ეთანოლი).

**4-მეთოქსი- N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-
ფენილენდიამინი (XXVIII)**

ნაერთი **XXVIII** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 0.7 გ (2.33 მმოლი) ნაერთი **XXI** ურთიერთქმედებით 0.47 გ (2.33 მმოლი) 5-ბრომსალიცილის ალდეჰიდთან 10 მლ აბს. სპირტის არეში 2 სთ დუღებით. იღებენ 4-მეთოქსი-**N**-(1-ადამანტილ)კარბონილ-**N'**-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXVIII**) ყვითელი ფერის კრისტალებს 0.91 გ (81%). $R_f = 0.45$ (აცეტონი/ CCl_4 1/2). ლღ.ტ. 200-202°C (ეთანოლი).

**4-მეთოქსი- N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსი-3,5-
დიბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინი (XXIX)**

ნაერთის **XXIX** სინთეზი განხორციელებული იქნა ნაერთის **XXII** სინთეზის ანალოგიურად. 0.5 გ (1.66 მმოლი) ნაერთი **XXI** ურთიერთქმედებით 0.77 გ (1.66 მმოლი) 3,5-დიბრომსალიცილის ალდეჰიდთან 10 მლ აბს. სპირტის არეში 7 სთ დუღებით. იღებენ 4-მეთოქსი-**N**-(1-ადამანტილ)კარბონილ-**N'**-(2-ჰიდროქსი-3,5-დიბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXIX**) ნარინჯისფერ კრისტალებს 0.83 გ (89%). $R_f = 0.40$ (აცეტონი/ CCl_4 1/3). ლღ.ტ. 237-238°C (ეთანოლი).

2-(1-ადამანტილ)-N-(2-ჰიდროქსიბენზილ)ბენზიმიდაზოლი (XXX)

0.52 გ (1.39 მმოლი) **N**-(1-ადამანტილ)კარბონილ-**N'**-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXII**) ამატებენ 8 გ პფმე და ინტენსიური მორევით აცხელებენ 120-125°C 20 წთ. სარეაქციო ნარევეს ასხამენ ყინულიან წყალში და ამუშავებენ ამიაკის 10% წყალხსნარით. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. აშრობენ ვაკუუმზე. იღებენ **N**-(2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლის (**XXX**) კრისტალებს. 0.21 გ (42%). $R_f = 0.50$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2) ლღ. ტ. 326-328°C ($CHCl_3$).

N-(3-ნიტრობენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი (XXXI)

ნაერთი **XXXI** ღებულობენ ნაერთი **XXX** ანალოგიურად, 0.8 გ (1.98 მმოლი) **N**-(1-ადამანტილ)კარბონილ-**N'**-(3-ნიტრობენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (**XXV**) ცხელებით 8 გ პფმე-ში 120-125 °C 15 წთ. ღებულობენ **XXXI** ნაერთის მოყვითალო ფერის კრისტალებს, 0.51 გ (67%). $R_f=0.64$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლღ.ტ. >310°C ($CHCl_3$).

**N-(3,5-დიბრომ-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი
(XXXII)**

ნაერთი **XXXII** ღებულობენ ნაერთი **XXX** ანალოგიურად, 0.5 გ (0.9 მმოლი) **N**-(1-ადამანტილ)კარბონილ-**N'**-(2-ჰიდროქსი-3,5-დიბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის

ნის (XXIV) ცხელებით 8 გ პფმე-ში 120-125 °C 15 წთ. ღებულობენ N-(3,5-დიბრომ-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)-ბენზიმიდაზოლის (XXXII) მონაცრისფრო კრისტალებს 0.13 გ (28 %). $R_f = 0.51$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2) ლლ.ტ. > 320°C (CHCl_3).

N-(5-ბრომ-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი (XXXIII)

მეთოდი ა) 0.45 გ (1.0 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინს (XXIII) 15 მლ აცეტონიტრილში უმატებენ 0.3 მლ (3.5 მმოლი) კონც. HCl და 0.8 მლ (28 მმოლი) 30% H_2O_2 და ინტენსიურად ურევენ 60 სთ ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევეს შლიან ცივ წყალში და ამუშავებენ ამიაკის 10% წყალხსნარით pH 6-7 -მდე. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე. რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. აშრობენ ვაკუუმზე. ღებულობენ N-(5-ბრომ-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლს (XXXIII) 0.33 გ (75%). $R_f = 0.51$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლლ.ტ. 285-287°C (CHCl_3).

მეთოდი ბ) 0.70 გ (1.3 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილ)-ო-ფენილენდიამინს (XXXVII) ხსნიან წყლიან იზოპროპილში (1:1, 30 მლ) და უმატებენ კონც. მარილმჟავას (0.24 მლ, 2.64 მმოლი ($d=1.18$)). სარეაქციო ნარევეს ინტენსიურად ურევენ და აცხელებენ 48 სთ. რეაქციის დამთავრების შემდეგ სარეაქციო ნარევი ასხამენ ყინულიანი წყალში და ამუშავებენ 5% NaOH-ის წყალხსნარით pH 8-მდე. აყოვნებენ და წარმოქმნილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბარზე, რეცხავენ წყლით (50-60 მლ) ნეიტრალურ რეაქციამდე და აშრობენ ვაკუუმზე. ღებულობენ N-[2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლის (XXXIII) თეთრი ფერის კრისტალებს 0.35 გ (61%). $R_f=0.51$ (აცე-ტონი/ CCl_4 ,1/2). ლლ. ტ. 285-287 °C (ქლოროფორმი).

N-(პარა-დიმეთილამინობენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი (XXXIV)

0.4 გ (1.0 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(პარა-დიმეთილამინობენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინს (XXVI) 15 მლ აცეტონიტრილში უმატებენ 0.3 მლ (3.5 მმოლი) კონც. HCl და 0.8 მლ (28 მმოლი) 30% H_2O_2 და ინტენსიურად ურევენ 72 სთ ოთახის ტემპერატურაზე. სარეაქციო ნარევეს შლიან ცივ წყალში და ამუშავებენ ამიაკის 10% წყალხსნარით pH 6-7-მდე. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე. რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე. აშრობენ ვაკუუმზე. ღებულობენ N-(პარა-დიმეთილამინობენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლს (XXXIV) 0.24 გ (71%). $R_f = 0.65$ (აცეტონი / CCl_4 , 1/2) ლლ.ტ. 178-180 °C (CHCl_3).

N-(5-ნიტრო-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლი (XXXV)

0.27 გ (0.1 მმოლი) ნაერთ I და 0.167 გ, (1.0 მმოლი) 2-ჰიდროქსი-5-ნიტრო-ბენზალდეჰიდს 15 მლ აცეტონიტრილში უმატებენ 0.3 მლ (3.5 მმოლი) კონც. HCl და 0.8 მლ (28 მმოლი) 30% H_2O_2 და ინტენსიურად ურევენ 54 საათი ოთახის ტემპერატურაზე.

სარეაქციო ნარევეს შლიან ცივ წყალში და ამუშავებენ ამიაკის 10% წყალხსნარით pH 6-7-მდე. გამოყოფილ ნალექს ფილტრავენ შოტის ძაბრზე, რეცხავენ წყლით ნეიტრალურ რეაქციამდე, აშრობენ ვაკუუმზე, იღებენ N-(5-ნიტრო-2-ჰიდროქსიბენზილ)-2-(1-ადამანტილ)ბენზიმიდაზოლს (XXXV) 0.32 გ (81%). $R_f=0.55$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2) ლღ.ტ. 284-285°C ($CHCl_3$).

N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსიბენზილ)-ო-ფენილენდიამინი (XXXVI)

1.4 გ (3.7 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (XXII) აღდგენას ატარებენ მოლეკულური წყალბადით რენეს ნიკელის კატალიზატორის თანაობისას აბს. სპირტის არეში 24 სთ მორევის პირობებში, ოთახის ტემპერატურაზე. რეაქციის დასრულების შემდეგ სარეაქციო ნარევეს ფილტრავენ ფილტრის ქაღალდზე კატალიზატორის მოცილების მიზნით. ფილტრატს აორთქლებენ როტაციულ ამორთქლებელზე, იღებენ მოთეთრო ფერის კრისტალებს XXXVI 0.67 გ (56%). $R_f = 0.37$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლღ. ტ. 138-142°C (ქლოროფორმი). თანამდე პროდუქტის სახით გამოყოფენ ნაერთ I (0.06 გ).

N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილ)-ო-ფენილენდიამინი (XXXVII)

ნაერთი XXXVII სინთეზს ატარებენ ნაერთი XXXVI ანალოგიურად. 1.31 გ (2.3 მმოლი) N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (XXIII) აღდგენით იღებენ N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილ)-ო-ფენილენდიამინის (XXXVII) მოთეთრო ფერის კრისტალებს 0.7 გ (53%). $R_f = 0.31$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლღ. ტ. 127-128°C (ქლოროფორმი). თანამდე პროდუქტის სახით იღებენ ნაერთ I (0.04გ).

4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილ)-ო-ფენილენდიამინი (XXXVIII)

ნაერთი XXXVIII სინთეზს ატარებენ ნაერთი XXXVI ანალოგიურად. 0.61 გ (1.5 მმოლი) 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინის (XXVII) აღდგენით იღებენ 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)-კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსიბენზილ)-ო-ფენილენდიამინის მოთეთრო ფერის კრისტალებს (XXXVIII) 0.38 გ (62 %). $R_f = 0.32$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლღ. ტ. 158-160°C (ქლოროფორმი).

4-მეთოქსი- N-(1-ადამანტილ)კარბონილ- N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-ო-ფენილენდიამინი (XXXIX)

ნაერთი XXXIX სინთეზს ატარებენ ნაერთი XXXVI ანალოგიურად. 0.8 გ (1.65 მმოლი) 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილიდენ)-

-ო-ფენილენდიამინის (XXVIII) აღდგენით იღებენ 4-მეთოქსი-N-(1-ადამანტილ)-კარბონილ-N'-(2-ჰიდროქსი-5-ბრომბენზილ)-ო-ფენილენდიამინის (XXXIX) მოთეთრო-მონაცრისფრო ფერის კრისტალებს 0.28 გ (51%). $R_f = 0.30$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/2). ლღ. ტ. 192-194°C (ქლოროფორმი).

3.2. ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი დიჰეპტიდები

N-ფორმილგლიცინის ეთილის ეთერი (XL)

50 მლ ეთილფორმატში გახსნილ 14 გ (100 მმოლი) გლიცინის ეთილის ეთერის ჰიდროქლორიდს უმატებენ 0.01 გ (0.06 მმოლი) 3-ტოლუოლსულფომჟავას მონო-ჰიდრატს და მორევის პირობებში წვეთობით უმატებენ 11.1 გ (110 მმოლი) ტრიეთილამინს. სარეაქციო ნარევეს აცხელებენ მორევის პირობებში 20 საათის განმავლობაში, რეაქციის მიმდინარეობას აკვირდებიან თხელფენოვანი ქრომატო-გრაფიით. სარეაქციო ნარევეს აცივებენ 20°C-მდე და 0-5°C-მდე ნალექის სახით გამოყოფილ ტრიეთილამინის ჰიდროქლორიდს აცილებენ გადაფილტვრით და ფილტრატს აკონცენტრირებენ ვაკუუმზე. ფილტრატს ხდიან დაბალი წნევის პირობებში ვაკუუმზე. ღებულობენ 8.7 გ (92%) N-ფორმილგლიცინის ეთილის ეთერის (XL) უფერო ზეთის-მაგვარ სითხეს.

N-(ადამანტან-1-ილ)ფორმამიდი (XLI)

ნაერთი XLI მიღება ხორციელდება ნაერთი XL ანალოგიურად, 100 მლ ეთილ-ფორმატში გახსნილ 11 გ (59 მმოლი) ამინოადამანტანის ჰიდროქლორიდზე და 0.06 გ (0.36 მმოლი) 3-ტოლუოლსულფომჟავას მონოჰიდრატზე 7.68 მლ (5.57 გ, 65 მმოლი) TEA დამატებით. ღებულობენ N-(ადამანტან-1-ილ)ფორმამიდის (XLI) თეთრი ფერის კრისტალებს 7.9 გ (75%). ლღ. ტ. 135-136°C.

ეთილიზოციანოაცეტატი (XLII)

7.1 გ (54.16 მმოლი) N-ფორმილგლიცინის ეთილის ეთერს 150 მლ დიქლორ-მეთანში მორევისა და 0°C ტემპერატურაზე გაცივების პირობებში წვეთობით უმატებენ ჯერ 8.29 გ (54.16 მმოლი) ფოსფორის(V)ოქსიქლორიდს და შემდეგ 13.6 გ (134.3 მმოლი) TEA ურევინ 1 სთ. შემდეგ ოთახის ტემპერატურაზე უმატებენ 51 მლ წყალში გახსნილ 10.83 გ Na_2CO_3 ურევინ 30 წთ. სარეაქციო ნარევეს ანზავებენ 300 მლ წყლით და წვლილავენ CH_2Cl_2 (2 x 75 მლ). ორგანულ ფაზას რეცხავენ NaCl ნაჯერი ხსნარით, ამრობენ K_2CO_3 , ფილტრავენ და აკონცენტრირებენ როტაციულ ამორთქლებელზე. ღებულობენ ეთილიზოციანოაცეტატის (XLII) უფერო ზეთისმაგვარ ბლანტ სითხეს 3.11 გ (51%).

1-იზოციანოადამანტანი (XLIII)

ნაერთი XLIII სინთეზს ატარებენ ნაერთი XLII ანალოგიურად. 1.5 გ (8.3 მმოლი) ნაერთი XLI ხსნიან 100 მლ დიქლორმეთანში, უმატებენ 1.27 გ (8.3 მმოლი) ფოსფორის (V) ოქსიკლორიდს, 2.9 მლ (2.08 გ, 20 მმოლი) TEA და 16.6 მლ წყალში გახსნილ 1.66 გ Na_2CO_3 . დებულობენ 1-იზოციანოადამანტანის XLIII თეთრი ფერის კრისტალებს 0.8 გ (61.5 %). ლღ.ტ. 176-178°C.

ბენზენიზოციანიდი (XLIV)

2 მლ (22 მმოლი) ანილინს ანზავებენ 100 მლ დიქლორმეთანით და უმატებენ 50 მლ 50% ნატრიუმის ტუტის წყალხსნარს, 0.07 გ (0.22 მმოლი) ტეტრაბუთილ-ამონიუმის ბრომიდს და 2.6 მლ (33 მმოლი) ქლოროფორმს. სარეაქციო ნარევეს ურევენ 6 სთ ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ ანზავებენ 200 მლ წყლით და გამყოფი ძაბრით გამოყოფენ ორგანულ ფაზას, რომელსაც რეცხავენ 2-ჯერ 100 მლ წყლით და 100 მლ NaCl-ის ნაჯერი ხსნარით. აშრობენ MgSO_4 -ზე, ფილტრავენ და აკონცენტრირებენ გამხსნელის სრულ მოცილებამდე. მიღებულ პროდუქტს ასუფ-თავებენ ქრომატოგრაფიულ სვეტზე სტანდარტული მეთოდით (დიქლორმეთანი/ჰექსანი, 4/1 და SiO_2 კომბინაციით). დებულობენ ბენზენიზოციანიდის (XLIV) ყვითელ, ზეთისმაგვარ ბლანტ მასას 0.97 გ (41 %).

ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ბენზილვალისგლიცინატი (XLV)

0.214 გ (2 მმოლი) ბენზილამინს და 0.18 მლ (2 მმოლი) იზობუტილალდეჰიდის ნარევეს 4 მლ ეთანოლში ურევენ ოთახის ტემპერატურაზე 15 წუთის განმავლობაში, უმატებენ 0.36 გ (2 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას და აცხელებენ 45-50 °C ტემპერატურაზე. გამჭვირვალე სარეაქციო ნარევეს უმატებენ 0.23 მლ (2 მმოლი) ეთილიზოციანოაცეტატს და ურევენ 50°C ტემპერატურაზე 15 სთ განმავლობაში. წარმოიქმნილი ნარინჯისფერი ხსნარი, გადააქვთ გამყოფ ძაბრზე, ანზავებენ მცირე რაოდენობა დიქლორმეთანით და ამუშავებენ ჯერ NaHCO_3 -ნაჯერი ხსნარით, შემდეგ 1 მოლური KHSO_4 ხსნარით, ორგანულ ფაზას აშრობენ Na_2SO_4 . ფილტრავენ და აორთქლებენ გამხსნელის სრულ მოცილებამდე. დარჩენილ მასას ასუფთავებენ ქრომატოგრაფიულ სვეტზე სტანდარტული მეთოდით (SiO_2 , პეტროლეინი/ეთილ-აცეტატი, 4/1). იღებენ მოყვითალო ბლანტ მასას 0.49 გ (54%). $R_f = 0.24$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/4). ნაპოვნია: m/z 454.2695[M]⁺. $\text{C}_{27}\text{H}_{38}\text{N}_2\text{O}_4$. გამოთვლილია m/z : 454.2777

ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ფენილვალისგლიცინატი (XLVI)

ნაერთი XLVI სინთეზი ხორციელდება ნაერთი XLV ანალოგიურად 0.19 მლ (2 მმოლი) ანილინის, 0.18 მლ (2 მმოლი) იზობუტილალდეჰიდის, 0.36 გ (2 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას და 0.23 მლ (2 მმოლი) ეთილიზოციანოაცეტატის ურთიერთქმედებით 2 მლ ეთანოლში, ზემოთ აღწერილი მეთოდით, ოთახის ტემპერატურაზე

და ქრომატოგრაფიულ სვეტზე გასუფთავებით (SiO_2 , პეტროლეინი/ ეთილაცეტატი, 5/1) ღებულობენ ნაერთი **XLVI** მოყვითალო ბლანტ მასას 0.42 გ (46.3%). $R_f = 0.27$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/4); ნაპოვნია: m/z 440.2670 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{26}\text{H}_{36}\text{N}_2\text{O}_4$. გამოთვლილია m/z : 440.2675;

ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ბენზილვალვილიცინატი (XLVII)

ნაერთი **XLVII** სინთეზი ხორციელდება ნაერთი **XLV** ანალოგიურად. 0.25 მლ, (2 მმოლი) ფენეთილამინის, 0.18 მლ (2 მმოლი) იზობუტილის ალდეჰიდის, 0.36 გ, (2 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას და 0.23 მლ (2 მმოლი) ეთილიზოციანოაცეტატის ნარევის 14 საათიანი ცხელებით 7 მლ ეთანოლში, 50 °C-ზე, ზემოთ აღწერილი მეთოდით და ქრომატოგრაფიულ სვეტზე გასუფთავებით (SiO_2 , პეტროლეინი/ ეთილაცეტატი, 5/1). იღებენ ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ფენეთილვალვილიცინატის (**XLVII**) ყვითელი ფერის ბლანტ მასას 0.4 გ (43%), $R_f = 0.31$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/4). ნაპოვნია: m/z 468.2912 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{28}\text{H}_{40}\text{N}_2\text{O}_4$. გამოთვლილია m/z : 468.2988

ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ბუტილვალვილიცინატი (XLVIII)

ნაერთი **XLVIII** სინთეზი ხორციელდება ნაერთი **XLV** -ის ანალოგიურად. 0.20 მლ, (2 მმოლი) ნ-ბუტილამინის, 0.18 მლ (2 მმოლი) იზობუტილის ალდეჰიდის, 0.36 გ (2 მმოლი) ადამანტან-1-კარბონმჟავას და 0.23 მლ (2 მმოლი) ეთილიზოციანოაცეტატს შორის ურთიერთქმედებით 4 მლ ეთანოლში, ოთახის ტემპერატურაზე, 14 საათიანი მორევის პირობებში ზემოთ აღწერილი მეთოდით და ქრომატოგრაფიულ სვეტზე გასუფთავებით (SiO_2 , პეტროლეინი/ეთილაცეტატი, 9/1) ღებულობენ ეთილ-N-(ადამანტან-1-კარბონილ)-N-ბუტილვალვილიცინატის (**XLVIII**) ბლანტ ყვითელ მასას 0.63 გ (55%) $R_f = 0.32$ (აცეტონი/ CCl_4 , 1/4). ნაპოვნია: m/z 420.2991 $[\text{M}]^+$. $\text{C}_{24}\text{H}_{40}\text{N}_2\text{O}_4$. გამოთვლილია m/z : 420.2988.

ეთილ-(2-(N-ფენილადამანტან-1-კარბოქსამიდო)ჰექსანოილ)ვალვილიცინატი (XLIX)

